

**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება #03-75**

ქ. თბილისი

01 სექტემბერი, 2017 წ.

ერთის მხრივ, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო, წარმოდგენილი მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორის ნინო ინწიკიშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ შპს „იუ-ჯი-თი“, წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის ერმილე სულაძის სახით, შემდგომში წოდებული როგორც „მიმწოდებელი“, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ემოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობისა, მიმწოდებლის წინადადებისა და ევროკავშირის (წარმოდგენილი საქართველოში ევროკომისიის სახით) გრანტის პროექტის „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა“ ფარგლებში, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 2 ივნისის #995 განკარგულების, 2016 წლის 03 ივნისის ევროკავშირისა და სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების დანართი #4-ში გათვალისწინებული შესყიდვის პროცედურების (შესყიდვა ბენეფიციარების მიერ გრანტის ფარგლებში ევროკავშირის საგარეო ქმედებების კონტექსტში) თანახმად, გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე (პრაქტიკული სახელმძღვანელოს მუხლი 3.2.3) ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
- 1.1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.
- 1.1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც აწვდის შესყიდვის ობიექტს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.1.6 „სისტემა“, „მშს“ „მუნიციპალიტეტების მართვის სისტემა“ - მუნიციპალიტეტების საქმისწარმოების ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა.
- 1.1.7 „მომსახურება“ - წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის, 2017 წლის 01 სექტემბრიდან 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ამ ხელშეკრულების დანართი N1-N7-ით განსაზღვრული მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისა და სისტემაში ჩართული მუნიციპალური სერვისების მხარდაჭერის მომსახურების მიწოდება (CPV-72200000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

- 3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებათა ღირებულება შეადგენს არაუმეტეს 31185,00 (ოცდათერთმეტი ათას ასობითოცდახუთი) ლარს. ხელშეკრულების ღირებულება შესაძლებელია შემცირდეს ფაქტობრივად შესრულებული მომსახურების ღირებულების შესაბამისად (მიღება-ჩაბარების აქტების საფუძველზე).
- 3.2. შესყიდვის ობიექტის ერთეულის ღირებულება მოცემულია დანართი #4-ში.

- 3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც შესყიდვის ობიექტის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს გარდა დღგ-სი. დაფინანსების წყარო გათავისუფლებულია დღგ-საგან ჩათვლის უფლებით (საგადასახადო შედავითი მოსარგებლეთა რეესტრი, პროექტის დასახელება: „Support to Sustained Effective functioning of the State Commission on Migration Issues“ („მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მდგრადი და ეფექტიანი ფუნქციონირების ხელშეწყობა“)).

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;
- განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, ხელშეკრულების თანახმად;
- ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის გაცემა აწარმოოს წერილობით;
- დახმარება აღმოუჩინოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში;
- ხელი შეუწყოს წინამდებარე ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებულ ინსპექტირების პროცესს და ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს წარმოუდგინოს ყველა საჭირო დოკუმენტი და/ან მასალა.
- წარუდგინოს შემსყიდველს, ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით, ქვეკონტრაქტორთან გაფორმებული ხელშეკრულების ასლი, (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები;
- მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისთანავე, ერთჯერადად მოწოდებული მომსახურების სახით, უზრუნველყოს არსებული მშს პროგრამული უზრუნველყოფის რეალურ საოპერაციო/ტექნიკურ საშუალებებზე გადატანა;
- მშს-ის რეალურ პროგრამულ გარემოში ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ცვლილებების მიმწოდებლის მიერ ატვირთვა უნდა განხორციელდეს შემსყიდველისთვის საინსტალაციო პაკეტების მიწოდების ან უფლებამოსილი სპეციალისტის შემსყიდველის ოფისში მივლინების გზით.
- მიმწოდებლის მიერ, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდებისას, შეცვლილი პროგრამული კოდი წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას და მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნისაგან 2 დღის ვადაში ელექტრონული სახით გადასცეს შემსყიდველს პროგრამული კოდის ბოლო ვერსია.
- საჭიროების შემთხვევაში დაიცვას და დაემორჩილოს შემსყიდველის მიერ დადგენილი ფიზიკური ავტორიზაციის (დაცულ ზონებში შესვლის/გასვლის) და სამუშაოების ჩატარების წესებს (შესვლის და გასვლის წესები, ასევე აკრძალულია მობილური მოწყობილობების და ვიდეო გადაღების მოწყობილობების გამოყენება);
- დაიცვას და არ გადასცეს მესამე პირებს განსახორციელებელი სამუშაოების, მათი ადგილმდებარეობის და შინაარსის შესახებ ინფორმაცია;
- დაიცვას და არ გაამჟღავნოს საინსტალაციო, საგარანტიო და ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას, შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოპოვებული სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის სისტემების არსებული კონფიგურაციების და სხვა დეტალების შესახებ ინფორმაცია;
- მომწოდებელს ეკრძალება საგარანტიო და ტექნიკური მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას შესაბამის მოწყობილობებზე არსებული მონაცემების გადაწერა ან მესამე პირებისათვის გადაცემა ან სხვა რაიმე სახით დამუშავება, თუ ეს წერილობით (მატერიალური ან ელექტრონული ფორმით) არ არის მოთხოვნილი შემსყიდველის მიერ;
- არ გაამჟღავნოს მხარდაჭერის სამუშაოების ჩატარებისას შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოწოდებულ მოწყობილობებზე არსებული მონაცემების შესახებ შემთხვევით ან სამუშაო საჭიროების მიზნით მოპოვებული ინფორმაცია;
- ტესტურ და რეალურ გარემოსთან მუშაობისთვის შემსყიდველს მიმართოს წერილობითი მოთხოვნით, სადაც მითითებული იქნება დასაშვები კონკრეტული პირის სახელი და გვარი (საიდენტიფიკაციო მონაცემი).

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

- გადაუხადოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად მიწოდებული მომსახურების ღირებულება;
- განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.
- შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის მშს პროგრამული უზრუნველყოფის ტესტური და რეალური ვერსიების სამუშაოდ აუცილებელი ტექნიკური საშუალებები (იხ. დანართი 1).
- მშს პროგრამული უზრუნველყოფის კოდი (საწყისი კოდების ჩათვლით) წარმოადგენს შემსყიდველის საკუთრებას. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის ამ კოდების გადაცემა და განუსაზღვრელი წვდომა მიმწოდებლისთვის გამოყოფილი სატესტო გარემოს ფარგლებში, ამ მომსახურების მიწოდების პერიოდის განმავლობაში.
- შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლისთვის ტესტურ და რეალურ გარემოსთან მუშაობისთვის აუცილებელი კავშირი დაცული არხის (VPN) მეშვეობით.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1. წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურების ინსპექტირება განხორციელდება შემსყიდველის ინსპექტირების ჯგუფის მიერ.
- 5.2. შემსყიდველის მხრიდან შესყიდვის ობიექტის შესაბამისობაზე ინსპექტირებას განახორციელებენ და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერა პირებს წარმოადგენენ პროექტის „მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მდგრადი და ეფექტური ფუნქციონირების ხელშეწყობა“ - საზოგადოებრივი ცენტრები და ელექტრონული მმართველობა კომპონენტის ელექტრონული მმართველობის კოორდინატორი გიორგი ხაჩიძე და ამავე პროექტის ინფორმაციული ტექნოლოგიების კოორდინატორი ალექსანდრე ჯინორიძე, სააგენტოს პროგრამული უზრუნველყოფის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი რუხაძე და სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ დათიაშვილი, ხოლო ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სააგენტოს შესყიდვების სამსახურის უფროსი, მალხაზ ტაბლიაშვილი.
- 5.3. ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, შემსყიდველი უფლებამოსილია ამ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ მომენტში, საკუთარი ხარჯით, მის მიერ შერჩეული მეთოდით (მათ შორის შესაბამისი დარგის სპეციალისტების ან კომპანიის მოწვევის და/ან ექსპერტიზის ჩატარების გზით) შეამოწმოს „მშს“-ის პროგრამული კოდი უსაფრთხოებისა და მთლიანი სისტემის წარმადობის კუთხით და მოითხოვოს პროგრამული კოდის და მონაცემთა ბაზის კონფიდურაციის ცვლილება, რათა აღმოიფხვრას შემოწმების ანგარიშში მოცემული ყველა ხარვეზი.
- 5.4. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურების პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ინსპექტირების ჯგუფი (ან მისი რომელიმე წევრი) ადგენს წერილობით ინსპექტირების აქტს.
- 5.5. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისას გამოვლენილ დეფექტების აღმოფხვრასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს დაფარავს ვალდებულებების დამრღვევი მხარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მშს-ის არსებული სისტემის მომსახურება ითვლება ჩაბარებულად თუ მომსახურების მიწოდების თითოეული თვის მომდევნო თვის 7 (შვიდი) სამუშაო დღის განმავლობაში შემსყიდველის ინსპექტირების განმახორციელებელი ჯგუფი (ან მისი რომელიმე წევრი) არ წარმოადგენს 5.4 პუნქტით გათვალისწინებულ ინსპექტირების აქტს და მიმწოდებლის მიერ გაწეული მშს-ის არსებული სისტემის მომსახურების ღირებულება დაექვემდებარება სავალდებულო ანაზღაურებას.
- 6.2. ინსპექტირების აქტის საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარეთა შორის ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტი მომსახურების მიწოდების თითოეული თვის მომდევნო თვის 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, სადაც აღიწერება გაწეული მომსახურება და მისი ღირებულება.

7. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადები

- 7.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია საქართველო, ქ. თბილისი;

7.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა 2017 წლის 07 აგვისტოდან 2017 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

8. ანგარიშსწორება

- 8.1. ანგარიშსწორება ხორციელდება - ეროვნულ ვალუტაში, ლარში;
- 8.2. შესყიდვის ობიექტით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში;

9. ფასები

- 9.1. ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები შეიძლება გადაისინჯოს და მოხდეს ფასების შეცვლა მხარეებს შორის გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის საფუძველზე შემდეგ შემთხვევებში:
- საგადასახადო რეჟიმის შეცვლა (მაგალითად დ.დ.გ და ა.შ.);
 - ინფლაციის მაღალი დონე;
- 9.2. ხელშეკრულების 9.1 პუნქტით დადგენილი წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ ცვლილება აჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს და არ აღემატება 10%-ს.
- 9.3. ხელშეკრულების 9.2 პუნქტით გათვალისწინებული ფასის ცვლილების მაქსიმალური ზღვარის (10%) გადაჭარბების შემთხვევაში მხარეები უფლებამოსილი არიან მოშალონ ხელშეკრულება. ასეთ შემთხვევაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მოშლაზე გაწეული მომსახურება ექვემდებარება ანაზღაურებას.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა და მხარეთა პასუხისმგებლობა

- 10.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება თუ:
- 10.1.1 მიმწოდებელი არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, მას შემდეგ რაც შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 5.4 პუნქტით გათვალისწინებული ინსპექტირების აქტით განესაზღვრება გონივრული პერიოდი ხარვეზის გამოსასწორებლად;
- 10.1.2 მიმწოდებელი გაკოტრდა;
- 10.1.3 საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
- 10.2. თუ მიმწოდებელი ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად მოშალოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 10.3. ხელშეკრულების №1 დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული ცვლილების მოთხოვნის შეფასებისა და ცვლილების განხორციელების ვადის დარღვევის (გადაცდენის) შემთხვევაში; 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პროფილაქტიკური შემოწმების დაწყების და დასრულების ვადის დარღვევის (გადაცდენის) შემთხვევაში; 2.2 პუნქტით გათვალისწინებული პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარებისას მომზადებული ანგარიშის შემსყიდველისთვის გადაცემის ვადის დარღვევის (გადაცდენის) შემთხვევაში;
- 10.4. ხელშეკრულების №1 დანართის 2.6 პუნქტით გათვალისწინებული შემსყიდველისთვის ინციდენტების მართვის ელექტრონულ სისტემის (სერვის დესკი) გამოყოფის ვადის გადაცდენის შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ეკისრება შემსყიდველის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდის, ხოლო ყოველ მომდევნო გადაგადაცილებულ საათზე 50 ლარის გადახდის ვალდებულება.
- 10.5. ხელშეკრულების №1 დანართის 2.7 პუნქტით გათვალისწინებული კრიტიკული გავლენის პრობლემის დროებითი მოგვარების და პრობლემის გადაჭრის ვადის დარღვევის (გადაცდენის) შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ეკისრება შემსყიდველის სასარგებლოდ 100 ლარის გადახდის, ხოლო ყოველ მომდევნო გადაგადაცილებულ საათზე 50 ლარის გადახდის ვალდებულება.
- 10.6. ხელშეკრულების №1 დანართის 2.7 პუნქტით (გარდა კრიტიკული გავლენის პრობლემის დროებითი მოგვარების და პრობლემის გადაჭრის ვადისა) გათვალისწინებული ვადის დარღვევის (გადაცდენის) შემთხვევაში, მიმწოდებელს პირგასამტეხლოს სახით ეკისრება შემსყიდველის სასარგებლოდ 50 ლარის გადახდის, ხოლო ყოველ მომდევნო გადაგადაცილებულ საათზე 25 ლარის გადახდის ვალდებულება.

- 10.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანგარიშსწორების ვადის დარღვევის (გადაცდენის) შემთხვევაში, შემსყიდველს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე პირგასამტეხლოს სახით ეკისრება გადასახდელი თანხის 1%-ის გადახდის ვალდებულება.
- 10.8. თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 50%, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
- 10.9. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.
- 10.10. მხარის მიერ პირგასამტეხლოს გადახდა უნდა განხორციელდეს მეორე მხარის მოთხოვნიდან 20 დღის ვადაში, თუ ამავე ვადაში არ წარმოადგენს დასაბუთებულ უარს.
- 11. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა**
- 11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.
- 12. დავების გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი**
- 12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.
- 12.2. თუ მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს.
- 12.3. ხელშეკრულების გამოყენებასა და განმარტებასთან დაკავშირებით, მათ შორის სასამართლო დავის ფარგლებში გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.
- 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა**
- 13.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 14. ფორს-მაჟორი**
- 14.1. ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა არ გამოიწვევს პირგასამტეხლოს გამოყენებას, საბანკო გარანტიის დაუბრუნებლობა ან/და ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, თუ ხელშეკრულების შეუსრულებლობა გამოიწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით, მათ შორის, სტიქიური უბედურებებით (როგორცაა ქარიშხალი, ზვავი, მეწყერი, გრიგალი, ხანძარი, წყალდიდობა, მიწისძვრა და სხვა სტიქიური უბედურებები), აჯანყებებით, სამხედრო მოქმედებებით, ბლოკადებით და გაფიცვებით.
- 14.2. მხარე, რომელსაც შეეცმნა ფორს-მაჟორული გარემოება ვალდებულია, მეორე მხარეს დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნული გარემოების წარმოშობის, მისი ხასიათის, და შესაძლო ხანგრძლივობის შესახებ.
- 14.3. თუ ზემოაღნიშნული შეტყობინება არ გაიგზავნა ხელშეკრულების 14.2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში, ფორს-მაჟორულ გარემოებაში მყოფი მხარე კარგავს უფლებას, ხელშეკრულების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის დასასაბუთებლად გამოიყენოს ფორს-მაჟორული გარემოება, თუ შეტყობინების გაგზავნა შეუძლებელი არ გახდა ფორს-მაჟორული გარემოების გამო.
- 14.4. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების სახით, ხელშეკრულების 11.1 პუნქტის შესაბამისად.
- 15. სხვა პირობები**
- 15.1. ხელშეკრულებას თან ერთვის შემდეგი დანართები:
- დანართი N1 - ტექნიკური დავალება;
 - დანართი N2 - ტექნიკური არქიტექტურა;
 - დანართი N3 - ფუნქციონალი;
 - დანართი N4 - ფასების ცხრილი;
 - დანართი N5 - რეალურ გარემოში გაშვებული მუნიციპალური სერვისები;
 - დანართი N6 - აუცილებელი ინფრასტრუქტურული რესურსები;
 - დანართი N7 - ინფორმაცია ცვლილების და პრობლემის აღწერის შესახებ.

15.2. პუნქტში მოცემული დანართები წარმოადგენენ ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

15.3. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელსა და შემსყიდველს.

16. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო

მის: საქართველო,

ქ. თბილისი აკ. წერეთლის გამზ. №67

ასახელმწიფო ხაზინა

BIC კოდი: TRESGE22

ა/ა №200 122 900;

ს/კ №202307404

მხარდაჭერის დეპარტამენტის დირექტორი

ნინო ინჯიგოველი



მიმწოდებელი:

შპს „იუ-ჯი-თი“

მის: ი.ჭავჭავაძის გამზ. #17ა

0179 თბილისი, საქართველო

საბანკო რეკვიზიტები

სს „საქართველოს ბანკი“

ბანკის კოდი: BAGAGE22

ა/ა: GE88BG0000000261644601

ს/კ: 204 892 964

დირექტორი

ერმილე სულაძე



ტექნიკური დავალება

მომსახურების ხელშეკრულება მოიცავს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საკუთრებაში არსებული "მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის" (შემდგომში „მმს“) პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებისა და სისტემაში ჩართული მუნიციპალური სერვისების მხარდაჭერის მომსახურების განხორციელების შესახებ შემდეგ საკითხებს:

1. მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის განვითარება;
2. მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის მხარდაჭერა;

"მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის" (მმს) ტექნიკური არქიტექტურა და სისტემაში შემავალი კომპონენტები აღწერილია დანართი N2 – "ტექნიკური არქიტექტურა".

ტერმინების განმარტება:

- „მმს“, „სისტემა“ - მუნიციპალიტეტების მართვის და საქმისწარმოების ავტომატიზაციის პროგრამული უზრუნველყოფა. თუ სხვაგვარად დაკონკრეტებული არ არის, გულისხმობს მთლიან პროდუქტს, ანუ სამომხმარებლო ინტერფეისს, მონაცემთა ბაზებს, პროგრამულ ბიბლიოთეკებსა და მესამე მხარეების მზა პროგრამულ მოდულებს, რომლებიც გამოიყენება მუნიციპალიტეტების მართვის სისტემაში. სრული ინფორმაცია მმს-ის პროგრამული და აპარატული უზრუნველყოფის შესახებ მოცემულია დანართ N2-ში "ტექნიკური არქიტექტურა";
- მუნიციპალიტეტის მართვის სისტემის განვითარება - მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის განვითარება ახალი ფუნქციონალის დანერგვა სისტემაში;
- გარე სერვისები - მმს-ში, როგორც საქმისწარმოების ავტომატიზაციის სისტემაში, მესამე მხარეების მონაცემებთან წვდომა ან მესამე მხარის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, მონაცემთა მიმოვცლის შესაბამისი ინტერფეისებით და ფუნქციებით. გარე სერვისები (შესაბამისი მომწოდებლებით) არის:
 1. პიროვნების იდენტიფიკაცია დაბადების წლით (სსგს);
 2. პიროვნების იდენტიფიკაცია დოკუმენტის სერია ან/და დოკუმენტის ნომრით (სსგს)
 3. მომხმარებლის პიროვნების იდენტიფიკაცია (სსგს);
 4. იურიდიული პირის იდენტიფიკაცია (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო);
 5. ქონების იდენტიფიკაცია (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო);
 6. სოციალური სერვისები (სოციალური მომსახურების სააგენტო);
 7. SMS შეტყობინებების სერვისი;
 8. ელექტრონული ფოსტის სერვისი (სსგს);
 9. ელექტრონული პირადობის მოწმობით ავტორიზაცია (სსგს);
 10. სკანერთან მუშაობა (DynamSoft WebTWIN);

11. დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო);
 12. eDocument საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (ფინანსთა სამინისტრო);
 13. ხდომილებების შესახებ ინფორმაციის მიღება (სსგს);
 14. პიროვნების სტატუსის გადამოწმება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრში (სსგს);
 15. პიროვნების სტატუსის ცვლილება მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრში (სსგს);
 16. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების რეესტრის ვალიდაციის სერვისი (სსგს);
- პროგრამის ხარვეზი (bug) - მმს-ის ნებისმიერი მოდულის, ბიბლიოთეკის, ინტერფეისის, მონაცემთა ბაზის, მონაცემთა შეყვანის და ამოღების ფორმების, შაბლონების და ა.შ. საპილოტე მუნიციპალიტეტებში პირველადი კონფიგურაციისას და შემდეგ რეალურ გარემოში მუნიციპალური სერვისების ფუნქციონირებისას გამოკვეთილი არასაკმარისი ფუნქციონალობა, რომელიც გამოწვეულია მიმწოდებლის მხრიდან დასმული მოთხოვნის მიმწოდებლის მიერ არასრულად შესრულებით, პროგრამული ხარვეზი და სხვა.
 - მუნიციპალური სერვისი - მმს-ში მუნიციპალიტეტის ბაზაში სხვადასხვა კონფიგურაციის გამოყენებით აწვობილი ერთი პროცესი, რომელსაც კონკრეტული მუნიციპალიტეტის ბაზის მომხმარებლები იყენებენ:
 1. ფიზიკური/იურიდიული პირების განცხადების რეგისტრაციისთვის და რეგისტრირებულ განაცხადზე საქმისწარმოების განხორციელებისთვის (მაგალითად: სტატუსის მინიჭება მოქალაქის ინიციატივით, სტატუსის აღდგენა მოქალაქის ინიციატივით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცება და სხვა);
 2. მუნიციპალიტეტის თანამშრომლების ან სხვადასხვა უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე საქმისწარმოების დაწყებისთვის და განხორციელებისთვის (მაგალითად: სტატუსის შეწყვეტა მონიტორინგის საფუძველზე, სტატუსის შეწყვეტა რეესტრის საფუძველზე და სხვა);
 3. ფიზიკური პირებისგან სხვადასხვა ტიპის ინფორმაციის შეგროვებისთვის და შეგროვებული ინფორმაციის ანალიზისთვის (მაგალითად: მუნიციპალიტეტის მომსახურებით კმაყოფილების კვლევა).

მუნიციპალურ სერვისად არ ჩაითვლება მმს-ში მუნიციპალიტეტის ბაზაში სხვადასხვა კონფიგურაციის გამოყენებით აწვობილი დამხმარე პროცესები, კერძოდ:

- სხდომის პროცესი;
- ერთიანი ბრძანებების პროცესი;

რეალურ გარემოში გაშვებული მუნიციპალური სერვისების ჩამონათვალი, მუნიციპალიტეტების მიხედვით, მოცემულია დანართი N5 "რეალურ გარემოში გაშვებული მუნიციპალური სერვისები".

- ცვლილების შესამოწმებელი ვერსია - ფუნქციონალური ცვლილების შუალედური ვერსია, რომელიც მზად არის ცვლილების გამართული ფუნქციონირების შემოწმების ტესტის ჩასატარებლად.
- მოთხოვნების/ინციდენტების მართვის პორტალი - ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოყოფილია მიმწოდებლის მიერ და სადაც შესაძლებელია შემსყიდველის მიერ ცვლილების მოთხოვნის ან ინციდენტის რეგისტრაცია.

1 მუნიციპალიტეტების მართვის სისტემის განვითარება

1.1 სისტემაში დამატებითი ფუნქციონალის შემუშავება

საპილოტე მუნიციპალიტეტებში მმს-ის საშუალებით რეალურ გარემოში მუნიციპალური სერვისების დაწერვისა და ექსპლუატაციის პროცესში დადგება სისტემის გარკვეული ფუნქციონალის ცვლილებებისა ან/და ახალი ფუნქციონალის დამატების საჭიროება. შემსყიდველის მხრიდან მოთხოვნილი იქნება მმს-ში ცვლილების შეტანა შემდეგი მიმართულებებით:

- ახალი მოდულის დამატება;
- ახალი მომსახურებების დამატება;
- ახალი გარე სერვისების ინტეგრაცია;
- ახალი ცნობარების დამატება;
- საქმისწარმოების ახალი ოპერაციის დამატება;
- ბიზნეს წესების კონფიგურაციის ნაწილში ახალი ფუნქციონალის ჩამატება;
- ახალი ტიპის სტატისტიკური ანგარიშების დამატება;
- ახალი ტიპის "Night Job"-ების დამატება;
- ახალი ტიპის რეგისტრების დამატება;
- სისტემაში არსებული მოდულის, მომსახურების, საქმისწარმოების ოპერაციის, სტატისტიკური ანგარიშის, "Night Job"-ის, რეგისტრის და სხვა ფუნქციონალის გაუმჯობესება;

არსებული ფუნქციონალის ცვლილების ან ახალი ფუნქციონალის დამატების მოთხოვნა შემსყიდველის მხრიდან დეტალურად უნდა აღიწეროს დანართი N3 მოცემულ ფორმაში. შევსებული ფორმა ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა გადაეგზავნოს მიმწოდებელს, რომელმაც არაუგვიანეს 5 სამუშაო დღეში უნდა მოახდინოს ცვლილების მოთხოვნის შეფასება დანართი N3-ში მოცემული სამუშაოს შესასრულებად აუცილებელი პერსონალისა და შესაბამისი ფასების მიხედვით. ამავე ფორმაში უნდა განისაზღვროს მოთხოვნის შესაბამისი ცვლილების განხორციელების ვადა.

შეფასებული მოთხოვნა ელექტრონული ფოსტის საშუალებით უნდა გადმოეგზავნოს შემსყიდველს, რომლის მხრიდანაც არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში უნდა მოხდეს შემოთავაზების დადასტურება ან უარყოფა. შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში პასუხის გაუცემლობა ითვლება უარყოფად. მიმწოდებლის მხრიდან ახალი მოთხოვნის შესაბამისი ცვლილების სისტემაში შეტანა უნდა დაიწყოს მხოლოდ

შემსყიდველის დადასტურების შემთხვევაში, ხოლო შესრულების ვადის ათვლა იწყება დასტურის მიღებიდან.

შემსყიდველის მხრიდან შემოთავაზების დადასტურების შემთხვევაში, ცვლილების მოთხოვნა შემსყიდველის მიერ უნდა აღიწეროს მოთხოვნების/ინციდენტების მართვის პორტალზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველმა მოთხოვნების/ინციდენტების მართვის პორტალზე რეგისტრირებულ მოთხოვნას უნდა დაურთოს დანართი N7-ის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული ძირითადი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს აქვს უფლება მოთხოვოს შემსყიდველს მიღებული ძირითადი ინფორმაციის დაზუსტება ან დანართი N7-ის 1-ლი პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის მიღება.

2 მუნიციპალიტეტების მართვის სისტემით რეალურ გარემოში მუნიციპალური სერვისების გეგმიური და არაგეგმიური მხარდაჭერა

2.1 მუნიციპალური სერვისების მხარდაჭერა

სისტემაში რეალურ გარემოში მუნიციპალური სერვისების, მათ შორის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში რეალურ გარემოში დამატებული მუნიციპალური სერვისების, მხარდაჭერა მოიცავს:

- ხარვეზების გამოსწორებას;
- მიმწოდებლის მიერ გამოყოფილ ინციდენტების მართვის ელექტრონულ სისტემაში (სერვისდესკი) ტექნიკური მხარდაჭერის მოთხოვნების გახსნის შეუზღუდავ რაოდენობას;
- 24x7 მხარდაჭერას კრიტიკული გავლენის პრობლემებისას;
- დაშორებულ მხარდაჭერას და ონლაინ წვდომას დოკუმენტაციაზე, ტექნიკურ რესურსებსა და ცოდნის ბაზაზე მიმწოდებლის მიერ მის ინფრასტრუქტურაში გამოყოფილ ტექნიკური საშუალებებით.

2.2 გეგმიური პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება

იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას სისტემის სტაბილური მუშა მდგომარეობა, მომსახურების ვადის ამოწურვამდე არანაკლებ ორჯერ, უნდა ჩატარდეს სისტემის გეგმიური პროფილაქტიკური მომსახურება.

პროფილაქტიკური შემოწმება უნდა დაიწყოს შემსყიდველის მიერ ელექტრონული ფოსტით გაგზავნილი მოთხოვნიდან ერთი კვირის ვადაში და დასრულდეს სამუშაოს დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში.

მშს პროგრამული უზრუნველყოფის პროფილაქტიკური მომსახურება მოიცავს:

- მიმწოდებელი საკუთარი რესურსებით უზრუნველყოფს პროგრამის პროფილაქტიკურ შემოწმებას, დაინსტალირებული პროგრამული კომპონენტების შემოწმებას, მათი მუშა მდგომარეობაში შენარჩუნების მიზნით;
- მმს-ის სერვერების ოპერაციული სისტემების, მონაცემთა ბაზების მართვის სისტემის, გარემოს (framework) განახლებებს, თუ ისინი შეიცავენ მმს-ის უსაფრთხოების და ფუნქციონირების გაუმჯობესებებს (საჭიროების კვლევაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი);
- მიმწოდებლის ტექნიკოსი შეამოწმებს მმს-ს ყველა კომპონენტს განახლების საჭიროებაზე;
- რეკონსტრუქციის შემთხვევაში სარეზერვო ან ვირტუალურ კომპიუტერზე ფუნქციონალის შემოწმება;
- მონაცემთა ბაზის ჟურნალის (log files) და სარეზერვო ფაილების (backup files) შემოწმება.
- შესწორებების მართვის (patch management) შემოწმება, თუ დაინსტალირებულია;
- დროებითი და უსარგებლო მონაცემების არქივირება და პროფილაქტიკური მომსახურება. შემსყიდველმა შეიძლება მოთხოვოს სისტემიდან ასეთი მონაცემების წაშლა;
- მონაცემთა ბაზის სერვისების შემოწმება;

ზემოთ აღნიშნული სამუშაოების ჩასატარებლად, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უზრუნველყოფს მიმწოდებლისათვის დროებით დაშვებას შესაბამის გარემოზე. აღნიშნული სამუშაოების ჩატარების კონკრეტული დროის შეთანხმება, მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის უნდა განხორციელდეს წინასწარ, ელ. ფოსტის საშუალებით.

მიმწოდებლის მიერ თითოეული პროფილაქტიკური სამუშაოს ჩატარებისას მომზადებული უნდა იქნეს ანგარიში, რომელიც გადაეცემა შემსყიდველს სამუშაოს ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღეში. ანგარიში უნდა მოიცავდეს ჩატარებული პროფილაქტიკური სამუშაოს მოცულობას, სისტემაში აღმოჩენილ ხარვეზებს, აღმოჩენილი ხარვეზების კლასიფიკაციას მათ გამოსწორებაზე პასუხისმგებელი მხარეების მითითებით, მიმწოდებლის მხარეს გამოსასწორებელი ხარვეზების გამოსწორების გზებს და ვადებს.

2.3 მხარდაჭერის დონეები

სისტემის მხარდაჭერა დაყოფილია სამ დონედ. მხარდაჭერის ამგვარი ორგანიზება ხელს უწყობს რეაგირების დროის ოპტიმიზებას და ასევე უზრუნველყოფს შეძლებისდაგვარად საუკეთესო სერვისის ეფექტურად მიწოდებას.

2.3.1 მხარდაჭერის პირველი დონე – სსგს-ს ტექნიკური მხარდაჭერა

პირველი დონის მხარდაჭერა გაწეული იქნება სსგს-ს ტექნიკური სპეციალისტის მიერ, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომსახურების და მხარდაჭერის ინსტრუქტაჟი.

პირველი დონის მხარდაჭერის კატეგორიას მიეკუთვნება შემდეგი სტანდარტული პროცესები:

- შემსყიდველის ან/და სისტემის მომხმარებლის მიერ მხარდაჭერის მოთხოვნის/ინციდენტის დარეგისტრირება;
- შემსყიდველმა საკითხის განსაზღვრის მიზნით უნდა განახორციელოს ინფორმაციის შეგროვება, არსებული სიმპტომების, პრობლემის გაანალიზება და იდენტიფიცირება;
- არსებული პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ, ტექნიკური სპეციალისტი იწყებს პრობლემის მოგვარების შესაძლებელი საშუალებების შერჩევას;
- თუ პრობლემის გადაჭრა ვერ მოხერხდება, პირველი დონის მხარდაჭერის ტექნიკური სპეციალისტი გადასცემს აღნიშნულ პრობლემას უფრო მაღალ დონეზე;

2.3.2 მხარდაჭერის მეორე დონე - მიმწოდებლის ტექნიკური მხარდაჭერა

მხარდაჭერის მეორე დონე უფრო საფუძვლიანი ტექნიკური მხარდაჭერაა, ვიდრე I დონის მხარდაჭერა. იგი გულისხმობს ტექნიკური გაუმართაობების გაუმჯობესებულ დიაგნოსტიკასა და აღმოფხვრას. მე-2 დონის მხარდაჭერის მიზნით სსგს-ს ტექნიკური მხარდაჭერის სამსახური უფლებამოსილია მიმწოდებლის მიერ გამოყოფილი ელ.ფოსტის მისამართის ან/და მოთხოვნის/ინციდენტების მართვის პორტალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საშუალებით მიმართოს მიმწოდებელს დამატებითი კონსულტაციებისათვის. შემსყიდველმა მიმართვას უნდა დაურთოს დანართი N7-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს აქვს უფლება მოთხოვოს შემსყიდველს მიღებული ძირითადი ინფორმაციის დაზუსტება ან დანართი N7-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის მიღება. დამატებითი კონსულტაციების მისაღებად სსგს-ს ტექნიკური მხარდაჭერის სამსახურმა შესაძლებელია გამოიყენოს ასევე ტელეფონი. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისას წარმოადგინოს ცხელი ხაზისთვის გამოყოფილი ელექტრონული ფოსტის მისამართი და სატელეფონო ნომერი.

მეორე დონის მხარდაჭერა უნდა იქნას უზრუნველყოფილი დისტანციურად, ელ-ფოსტის ან მოთხოვნების/ინციდენტების მართვის პორტალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საშუალებით. შემდგომში ნებისმიერი საკითხის მონიტორინგი და გადაჭრა დაფუძნებული იქნება მესამე დონის მხარდაჭერის ფარგლებში, რომელიც შესაძლებელია მოიცავდეს ადგილზე მიმწოდებლის წარმომადგენლის ვიზიტს.

მიმწოდებლის მეორე დონის მხარდაჭერის კატეგორიით გათვალისწინებული საკითხები:

- ტექნიკური გაუმართაობების შესახებ დამატებითი კონსულტაციების გაწევა
- სისტემის აპარატული უზრუნველყოფის არქიტექტურის მოდიფიკაციის ინსტრუქციების მიცემა.

2.3.3 მხარდაჭერის მეორე დონე - სააგენტოს ტექნიკური მხარდაჭერა

მეორე დონის მხარდაჭერით გათვალისწინებული შესასრულებელი სტანდარტული პროცესებია:

- პრობლემის დიაგნოსტიკისა და აღმოფხვრის და მხარდაჭერის პროცესამდე, მხარდაჭერის მეორე დონე განიხილავს სამუშაოს შესრულების თანმიმდევრობას, რათა დაადგინოს, თუ რა შესრულდა პირველი დონის მხარდაჭერის სპეციალისტის მიერ.
- თუ დადგინდა, რომ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, ჯგუფი პასუხისმგებელია მოქმედების ერთი ან მეტი ვარიანტის შემუშავებასა და დაგეგმვაზე, აფასებს რა თითოეულ ამ ვარიანტს საკონტროლო მაგალითის გარემოში და ახორციელებს პრობლემის საუკეთესო გზით გადაწყვეტას.
- გადაწყვეტილების დადასტურების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში ის გადაეცემა შემსყიდველს ან პირველი დონის მხარდაჭერის ჯგუფს და ხელმისაწვდომი გახდება სამომავლო დიაგნოსტიკის, აღმოფხვრისა და ანალიზისთვის.
- საჭიროების შემთხვევაში, მეორე დონის მხარდაჭერის ჯგუფი საკითხს გადასცემს მესამე დონის მხარდაჭერის ჯგუფს.
- დისტანციური დახმარება (ახალი) პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიების, აპგრეიდების (რე-)ინსტალაციასთან დაკავშირებით;

2.3.4 მხარდაჭერის მესამე დონე - კვლევა და შემუშავება მიმწოდებელის მიერ

ეს არის მხარდაჭერის უმაღლესი დონე (Severity 1), რომელიც ყველაზე რთული პრობლემების გადაჭრას ისახავს მიზნად. აღნიშნულ დახმარებას უზრუნველყოფენ მიმწოდებელის მაღალკვალიფიციური ან მიმწოდებელის პარტნიორი ინჟინრები, რომლებსაც აქვთ პირდაპირი წვდომა სისტემის ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფთან (Application Support). საკითხები, რომლებიც არ შედის პირველი ან მეორე დონის მხარდაჭერის კომპეტენციაში ან დაკავშირებულია პროგრამული უზრუნველყოფის დეფექტებთან, ჩვეულებრივ გადაეცემა აღნიშნული მაღალკვალიფიციური ინჟინრების ჯგუფს ელ. ფოსტის მისამართის ან მოთხოვნების/ინციდენტების მართვის პორტალის საშუალებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემსყიდველმა საკითხის აღწერას უნდა დაურთოს დანართი N7-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ძირითადი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში მიმწოდებელს აქვს უფლება მოთხოვოს შემსყიდველს მიღებული ძირითადი ინფორმაციის დაზუსტება ან დანართი N7-ის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის მიღება.

მესამე დონის მხარდაჭერის კატეგორიით შესასრულებელი სტანდარტული პროცესია:

- შემსყიდველის პრობლემის გადაჭრაზე მუშაობა, თუ 1 და 2 დონის ტექნიკურმა სპეციალისტებმა ვერ იპოვეს სათანადო გადაწყვეტილება;
- გადაწყვეტილების შემუშავებისა და დადასტურების შემდეგ იგი გადაეცემა 2 დონეს და ხელმისაწვდომი გახდება სამომავლო დიაგნოსტიკის, აღმოფხვრისა და ანალიზისთვის.

2.4 მხარდაჭერის მასშტაბები

2.4.1 აპლიკაციის მხარდაჭერა

აპლიკაციების მხარდაჭერაზე პასუხისმგებლობები ნაწილდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის.

შემსყიდველის პასუხისმგებლობები:

- სისტემის სტანდარტულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პროცედურული და სისტემური საკითხების გადაჭრა, რომლებიც გათვალისწინებულია შემსყიდველის სახელმძღვანელოთი;
- დახმარება იმ ზომების იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით, რომლებიც შემსყიდველის მიერ უნდა იქნას მიღებული საქმის წარმოებასთან დაკავშირებული უმნიშვნელო პრობლემების მოგვარების და სტანდარტული ფუნქციონირების აღდგენის მიზნით;
- გაუმართაობების ძიების და აღმოფხვრის მეთოდები, როგორცაა მომხმარებლის სახელთან და პაროლთან დაკავშირებული პრობლემები, შესაბამისი კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის სათანადო მუშაობის შემოწმება და აპლიკაციის მენიუს შესწავლასთან დაკავშირებული დახმარება;
- სპეციფიკურ ფუნქციონალთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა;
- დისტანციური დახმარება (ახალი) პროგრამული უზრუნველყოფის ვერსიების, აპგრეიდების (რე-)ინსტალაციასთან დაკავშირებით;

მიმწოდებლის პასუხისმგებლობები:

- როგორც სტანდარტულ, ისე შემსყიდველის სპეციფიკურ კომპონენტებში შემსყიდველის მიერ იდენტიფიცირებული პროგრამული უზრუნველყოფის ნაკლოვანებების გადაჭრა;
- სპეციფიკურ პროგრამულ უზრუნველყოფასთან დაკავშირებული/წარმოშობილი შეცდომის შეტყობინებების გადაჭრა ან განმარტება;
- კლიენტის პროგრამული უზრუნველყოფის სპეციფიკური ფუნქციონალობის პროცედურული და სისტემის ტექნიკური მახასიათებლების საკითხებთან დაკავშირებით მითითებების მიცემა;
- პროგრამული უზრუნველყოფის არასრულყოფილი ვერსიების, აპგრეიდების (რე-)ინსტალაციის შედეგად წარმოშობილი ხარვეზების გადაჭრა;
- პროგრამული უზრუნველყოფის არასრულყოფილი ვერსიების, აპგრეიდების (რე-)ინსტალაციის შემდეგ საჭირო რეკომენდაციების გაცემა;

2.4.2 პლატფორმის მხარდაჭერა

პლატფორმის, რომელზეც მუშაობს აპლიკაცია, უზრუნველყოფილია და მხარდაჭერილია მიმწოდებლის მიერ. პლატფორმის სათანადო ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად ყველა

საჭირო ქმედების განხორციელება წარმოადგენს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას. ამგვარი ქმედებები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება:

- პლატფორმასთან დაკავშირებული იმ შეცდომებისა და პრობლემების ანალიზსა და შესწორებას, რაც გადაწყვეტილების ტექნიკური პირობების შესაბამისად მუშაობას უშლის ხელს;
- პლატფორმასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრის საშუალებას;
- პლატფორმასთან დაკავშირებული მოდიფიკაციების ან სხვა ცვლილებების ღირებულების დადგენას, კლიენტის მოთხოვნისამებრ.

2.4.3 ინტერფეისის მხარდაჭერა

ინტერფეისის მხარდაჭერაზე პასუხისმგებლობები ნაწილდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის.

შემსყიდველი პასუხისმგებელია:

- მომხმარებლებისთვის სპეციფიკური ინტერფეისების განხორციელებასთან დაკავშირებით დახმარების გაწევაზე.

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

- სისტემის ინტერფეისის მხარდაჭერაზე;
- მესამე მხარის პროგრამული უზრუნველყოფის ინტერფეისების ფუნქციონალურობის აღდგენისთვის საჭირო მონაცემთა ბაზის ფაილებისა და სკრიპტების პროგრამირებაზე;
- იმ ინტერფეისებთან დაკავშირებული შეცდომებისა და პრობლემების ანალიზსა და შესწორებაზე, რომლებიც ან ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფაში იყო ჩაწერილი ან ცალკე იყო მოცემული, ლიცენზირებულ პროგრამულ უზრუნველყოფასა და ნებისმიერ გარე თუ შიდა სააგენტოს ან სისტემას შორის მონაცემთა გაცვლის მიზნით;

2.4.4 ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის მიზანს წარმოადგენს სისტემის მონიტორინგი, პრობლემის მიზეზის იდენტიფიკაცია, ინციდენტების პრევენცია და მუშა მდგომარეობის შეძლებისდაგვარად სწრაფად აღდგენა, კლიენტის ბიზნეს პროცესზე მინიმალური ზეგავლენით. ინფრასტრუქტურული მხარდაჭერის სათანადო ფუნქციონირებასთან დაკავშირებით პასუხისმგებლობები ნაწილდება შემსყიდველს და მიმწოდებელს შორის.

შემსყიდველი პასუხისმგებელია:

- დანართი N6-ის შესაბამისად თავის ვირტუალურ გარემოში შესაბამისი რესურსების და კონფიგურაციის მქონე ვირტუალური მანქანების გამოყოფაზე და აღნიშნული რესურსების მმს-ისთვის მუდმივად ხელმისაწვდომობაზე;

- სისტემის სერვერულ ინფრასტრუქტურულ ნაწილთან, სასერვერო რესურსებთან (CPU; Memory, Disk Space, Disk Type) დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციაზე და გადაჭრაზე;
- სისტემის სერვერული ინფრასტრუქტურის სააგენტოს სარეზერვო ასლების მართვის სისტემაში ჩართვაზე;
- სისტემისთვის სააგენტოს შიგნით მოქმედი Failover და DR პროცედურების შექმნაზე და მის განთავსებაზე აღნიშნულ სისტემებში;
- სისტემის მონიტორინგი გამოყოფილი რესურსების სისტემისთვის მუდმივ ხელმისაწვდომობაზე და სისტემის კომპონენტების სარეზერვო ასლების აღებაზე გამართული ფუნქციონირებისათვის;

მიმწოდებელი პასუხისმგებელია:

- სისტემის საინსტალაციო სამუშაოების შესრულებაზე;
- სისტემის პროგრამული და ინფრასტრუქტურული არქიტექტურის და პლატფორმის შერჩევაზე;
- პროგრამული უზრუნველყოფის კომპონენტების ინსტალაციაზე (აპლიკაცია, ინტერფეისი, მონაცემთა ბაზები);

2.5 შეთანხმება მომსახურების დონეზე (SLA)

ქვემოთმოყვანილი განსაზღვრებები ეხება SLA-ს:

SLA-ის მოქმედების ვადა იწყება იმ პერიოდიდან, როდესაც მიმწოდებელი სააგენტოსგან მიიღებს პირველ ანგარიშს პროგრამული ხარვეზის შესახებ ელექტრონული სახით. ეს იქნება მიჩნეული საწყის წერტილად SLA – ის მთელი შემდგომი პერიოდისთვის.

პრობლემის დროებითი მოგვარების დრო ნიშნავს, რომ მოცემული ვადა არ უნდა იქნას გადაცილებული, ვიდრე დროებითი გადაწყვეტილება არ იქნება ნაპოვნი და განხორციელებული, რათა განახლდეს სამუშაო პროცესი. ვადის მოქმედება დროებით შეჩერდება, თუ მიმწოდებელი მოითხოვს შემსყიდველის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის დანართი N7-ის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ძირითადი ინფორმაციის დაზუსტებას ან/და ამავე პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას. ვადის მოქმედება განახლდება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი მიმწოდებელს მიაწვდის დაზუსტებულ ძირითად ან/და დამატებით ინფორმაციას პრობლემის შესახებ.

პრობლემის საბოლოო აღმოფხვრისთვის საჭირო პერიოდი – ეს ვადა არ უნდა იქნას გადაცილებული, ვიდრე პერმანენტული გადაწყვეტილება არ იქნება ნაპოვნი და განხორციელებული (მაგ. ხარვეზის აღმოფხვრა, განახლება). ვადის მოქმედება დროებით შეჩერდება, თუ მიმწოდებელი მოითხოვს შემსყიდველის მიერ იდენტიფიცირებული პრობლემის დანართი N7-ის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ძირითადი ინფორმაციის დაზუსტებას ან/და ამავე პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენას. ვადის მოქმედება განახლდება მას შემდეგ, რაც შემსყიდველი მიმწოდებელს მიაწვდის დაზუსტებულ ძირითად ან/და დამატებით ინფორმაციას პრობლემის შესახებ.

იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებლის მიერ SLA-ის თანახმად განსახორციელებელ სამუშაოებზე გავლენას ახდენს ისეთი გარემოებები, რომლებიც არ ექვემდებარება მიმწოდებლის მიერ კონტროლს ან არ შედის მის პასუხისმგებლობაში (მაგ: ძაბვის ვარდნა, წვდომის არარსებობა, ავარია, შემსყიდველის მხრიდან თანამშრომლობის არარსებობა), SLA-ების მოქმედება დროებით შეჩერდება.

SLA-ის მოქმედების შეჩერების მიზეზი ასევე შეიძლება იყოს გარე სერვისების მიუწვდომლობა. ასეთ შემთხვევაში SLA-ის მოქმედება შეჩერდება გარე სერვისის მიწოდების აღდგენამდე.

2.6 მიმწოდებლის სერვისის დესკო

მიმწოდებელმა აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს უნდა გამოიყოს ინციდენტების მართვის ელექტრონულ სისტემა (სერვისის დესკო). შემსყიდველს:

- ხელშეკრულების ფარგლებში სერვისის დესკოზე ექნება უწყვეტი წვდომა;
- შეეძლება ინციდენტების რეგისტრაცია ულიმიტოდ;
- ექნება თითოეული ინციდენტისთვის დანართი N7-ის მე-2 პუნქტში განსაზღვრული ძირითადი და დამატებითი ინფორმაციის დაფიქსირების საშუალება;
- ექნება დაფიქსირებული ინციდენტების დათვალიერების და მიმდინარე სტატუსის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალება.

